# საქართველო

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.**

**რედაქცია და კონტორა:**
ტფილისი, რუსთაველის პრ ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—6 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

ყოველწადი მეექვსე.

**ოთხშაბათი, ენკენისთვის 1. 1920 წ. № 88**

ფასი 10 მანეთი



მსახიობთა კავშირის საბჭო ამით აუწყებს საქართველოს მოქალაქეთ, რომ ოთხშაბათს 1 სექტემბერს მალალ-ნიჭიერის მსახიობის

**ნატო გაბუნია-ცაგარლის**

გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავად გარდახდილ იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევის 2 საათზე. 14. 2-1

დრამატიული საზოგადოების გამგეობა და დირექცია ამით აუწყებს საქართველოს მოქალაქეთ, რომ ოთხშაბათს 1 სექტემბერს მალალ-ნიჭიერის მსახიობის

**ნატო გაბუნია-ცაგარლის**

გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავად გარდახდილ იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევის 2 საათზე. 13. 2-1

ნესტორ გაბრიელის ძე და ავგუსტა ანდრიას ასული გვამიჩავანი, და ბებია ზესა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ ჩვენი დაუვიწყარი შვილის

**ყორყინას**

გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო კუკიის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა, ხოლო მის შემდგომ საფლავზე პანაშვიდს გადავიხდით, წირვის დასაწყისი ათ საათზე, ხოლო პანაშვიდისა 12 საათზე. 3097 2—1

ელისაბედ თევდორეს ასული ბეგთაბეგიშვილისა, აგნესა გიორგის ასული ამირეჯიბისა, მილიცია გიორგის ასული დორფმანისა, ევგენი გიორგისძე, რაფაელ გიორგისძე, ნიკოლოზ გიორგისძე თავიანთ მეუღლეებითურთ და ალექსანდრე ნიკოლოზისძე ბეგთაბეგიშვილები გულ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი თავის მეუღლისა, მეორენი მამისა და მესამე საყვარელ მამის

**გიორგი ნიკოლოზისძე ბეგთაბეგიშვილის**

უეცრივ გარდაცვალებას, პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, დასაფლავება მოხდება 2 ენკ. წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში.

3099 1—1

**თბილისის მიწადმზომელთ სასწავლებელი**

აცხადებს, რომ თხოვნების მიღება პირველს კლასში შემომსვლელთათვის გრძელდება. უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის კურს დამთავრებულნი და საზოგადოდ ოთხი კლასის ცენზიანები მიღებულ იქნებიან გამოუცდელად. ოთხი კლასის მოწმობის არ მქონეთათვის იქნება გამოცდები ქართულ ენაში; რუსულ ენაში, არითმეტიკაში, გეომეტრიაში, და ფიზიკაში ბუნებისმეტყველებაში და გეოგრაფიაში, უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის კურსის ფარგლებში. გამოცდები დაიწყება 8 სექტემბერს დილის 10 საათზე. სწავლის ფასი წელიწადში 50 მან. მოწაფეთა ჯგუფებს სასწავლებელი ეხმარება წიგნებით. სასწავლებელში არსებობს ყოველგვარი საჭირო სასწავლო კაბინეტები. თხოვნები შემოტანილ უნდა იქმნეს ან გამოგზავნილი მისამართით ქ. თბილისი, გუნიბის ქუჩა № 46

1—3100—1

ენკენისთვის პირველიდან გაიხსნა პირველხარისხოვანი სასადილო

**,,ავთანდილი''**

სადაც მზადდება მხოლოდ ქართული საჭმელები მწვადები, საუკეთესო იმერული კერძი, იშვიათი მაგარი სასმელები, მჭადით, ღომითა და პურით, ჩვენებური საწებლით, ხახრთმით, საცივითა და თევზეულობით. მობრძანდით, ისადილეთ და დარწმუნდით. მისამართი: ქვაშვეთის ქ. 1 სასტ. ორიანტის ქვეშ.

2—3098—1

**სხვაგან სად! თუ არ სასადილო**

**,,ცამირში?!''**

(ყოფილი „ეკონომია'') შტაბის ქუჩა
პუშკინის ბაღის პირდაპირ

| | | |
|---|---|---|
| ვისაუზმოთ | დილ. | 0-12 ს. |
| ვისადილოთ | ,, | 12--6 ს. |
| ვივახშმოთ | ,, | 6--12 ს. |

მერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ: მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

**დამფუძნებელნი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო**

**ბანკისა**

ქ. ქუთაისში,

ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 15 ივლისს

**ხსენებული ბანკის წესდება დაამტკიცა.**

ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანად არის განსაზღვრული ოცი მილიონი მანეთი (20,000,000 მ.) თითო აქცია ღირს ათასი მანეთი 1000 მ.) ოცი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარი და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ერთდროულად ორმოცდა ათი მანეთი (50 მ.) თითო აქციაზე, ხელის მოწერა მიიღება 4 სექტემბრამდე შემდეგ ბანკებში: ქუთაისში: სამეურნეო-სამრეწველო და საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში. თბილისში: ცენტრალურ ბანკში, ამიერ-კავკასიის ბანკში და სამეურნეო ნდობის საზოგადოებაში. ბათომში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. ფოთში: ქართულ სავაჭრო ბანკში. ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სენაკში, ზუგდიდში და ხონში ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში.

1—9—4

××●×× საზოგადოების საყურადღებოთ ××●××

**დავით იაგორის-ძე კალანდაძე**

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

**კონიაკის, არაყის და ლიკიორის**

ნ. აივაზოვისა, ყოფილი. სავაჭრო სახლი ამ. სეილანოვებისა პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის. საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა კალანდაძის ფირმით – სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27


## დემობილიზაცია

რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით ჩვენი ჯარების დემობილიზაცია დაიწყო; უქმდება თავდაცვის საბჭოც და ამით სახელმწიფო, თითქოს მშვიდობიანობის მდგომარეობაზედ გადადის.

როგორც ჩანს რესპუბლიკამ თავიდან მოიცილა ყველა ის საფრთხე, რომელნიც ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენგან მუდმივ სიფხიზლეს ითხოვდნენ და განსაკუთრებულ ზომების მიღებას საჭიროებდნენ, რომ ზ...ლხი, ყოველთვის მზათ ყოფილიყო მტრის მოულოდნელ იერიშების უკუსაქცევად.

რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება ჰგულისხმობს, რომ სახელმწიფოს საგარეო ვითარება იმდენათ მშვიდობიან განწყობილებას იძლევა, რომ საჭირო აღარ არის მომზადებული შეიარაღებული ძალის გაჩერება და სამხედრო ნაწილების დემობილიზაციას იწყებენ.

მაგრამ განა ასეთია ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომარეობა?

არც ერთს საზღვარზედ საქართველოს რესპუბლიკას არ ჰყავს მეზობელი, რომლის იმედი მას შეიძლება ჰქონდეს რომ ერთს მშვენიერ დღეს მოულოდნელად თავს არ დაესხმის. მეზობელ აზერბაიჯანში, და ჩრდილო კავკასიის საზღვრებთან სდგანან ბოლშევიკები, რომელნიც არც ერთ სახარგებლო მომენტს ხელიდან არ გაუშვებენ რომ ჩვენზედ იერიში არ მოიტანონ. მეორეს მხრით ჩვენ გვსაზღვრავენ იგენ. ვრანგელის ჯარები და განა შეიძლება რომ ამ საზღვარზედ ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენი შეიარაღებული ძალები არ იყვენ?

ასევე, შეუძლებელია, რომ გამაგრებული არ იყვეს ოსმალეთის საზღვარიც, რომელთანაც ჩვენი განწყობილება ჯერ ჯერობით ოფიციალურად გამორკვეული არ არის?

ამავე დროს ჩვენი საშინაო მდგომარეობაც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს და კომუნისტების ყოველივე წესს გადასული მოქმედება საქართველოს პროვინციებში, გაორკეცებულ სიფხიზლეს საჭიროებს.

აი ასეთს დროს დემობილიზაციის მოხდენა არ გვგონია, რომ მიზანშეწონილი იყო.

მაგრამ ის ნაბიჯი რომელსაც ეხლა: საქართველოს მთავრობა სდგამს გამომდინარეობს მისი პოლიტიკის ბუნებიდან-

# დღეს

მოკავშირეებს გადაწყვეტილი აქვთ საბჭოთა მთავრობის დამარცხება, ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ რესპუბლიკების შემწეობით

შეერთებული შტატები კატეგორიულად უარყოფს საბჭოთა მთავრობის ლა უფლებას რუსეთში

რუმინეთის კოალიციონური მთავრობა გადადგა. ჰფიქრობენ სოციალისტურ კაბინეტის შედგენას.

საბჭოთა მთავრობამ პოლონელების იერიშების შესაჩერებლად გროდნოდან 40.000 წითელ-არმიელი გაგზავნა.

გერმანული ცნობით პრუსიის საზღვრებისკენ ლტოლვილ 50,000 წითელ არმიელებს იარაღი ახადეს.

ბოლშევიკები მოითხოვენ საზავო კონფერენციის გადატანას ნეიტრალურ ქვეყანაში.

ვილნოში ბოლშევიკების გასვლის შემდეგ ლიტველები შევიდნენ

ყუბანის ფრონტზე გენერალური ბრძოლაა.

ქემალმა ბრძანება გასცა, აზერბაიჯანში მყოფი მუსულმანი ოფიცრები ანატოლიაში დაბრუნდეს

საქართველოს რესპ. სახელმწიფო ბანკმა ვალიუტის მოსაწესრიგებლად მთავრობას ახალი გეგმა წარუდგინა.

## წერილები.


მეთაური: დემობილიზაცია.
საზოგადო მეურნეობა.
ჩვენი კორესპოდენტები:
თბილისიდან ბათომში


სამხედრო თადარიგს ის იწყებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მტერი არამც თუ კარზედ არის მომდგარი, საზღვარსაც გად ალახავს და ჩვენს ტერიტორიაზედ შემოიჭრება: აი ამ დროს იწყება მხოლოდ საომო მზადება, ნაჩქარებათ სდგებიან სამხედრო ნაწილები და ჯერ კიდევ საკმაოდ გაუწვრთნელი ჯარი მიემართება ბრძოლის ველისაკენ—მაგრამ საკმაო ჩვენი ჯარის ერთი ან ორი გამარჯვება და მტრის საღვარზედ დახევა, რომ საზავო დელეგაციის მზადებას შეუდგენ —და მეორდება ერთი და იგივე ამბავი.

საზარალო ზავი, დემობილიზაცია და ისევ მობილიზაცია, რადგან:

ახალი ომი დიდ ლოდინს არ იწვევს.

ასე იყო გენ. დენიკინთან ომების დროს, სომხეთთან და აზერბეიჯანთან ომში და ალბათ ასე იქნება მომავალშიც, თუ საქართველოს მთავრობა ამას ყურადღებით არ მოეკიდება.

მართალია მეტად პატივსაცემია ქართველი მენშევიკების პაციფისტური მიდრეკილებანი. მაგრამ საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა უფრო მეტ სიდინჯეს ითხოვს და მოქმედებათა მიხანშეწონვას.

რაც უნდა მძიმე არ იყოს ჩვენთვის მუდმივი ჯარის შენახვა, რაც უნდა ძნელი არ იყოს ჩვენი მეურნეობისათვის ახალგაზრდობის მოცილება სოფლიდან და იარაღის ქვეშ დარაზმვა. ჩვენ იძულებულნი ვართ ყოველი მსხვერპლი მივიტანოთ ჩვენი ერის და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვის სამსხვერპლოზე.

ამ დამოუკიდებლობას კი მხოლოდ ძლიერი და მომზადებული ჯარი დაიცავს.

ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში კი საქართველოს დიდი მუშაობა და დიდი ხარჯებით გაწევა დასჭირდა ჯარების ორგანიზაციის მოსაწყობათ და სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკის ჯარი ჯეროვან სიმაღლეზედ დადგა—ამ საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ჩვენს უმაღლეს სარდლობასაც და მათს გამოცდილ და საქმიან მოქმედებას.

ამიტომ, თუ სედრესპუბლიკის მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს ჯარების ნაწილობრივი დემობილიზაციის მოხდენა, მისი ორგანიზაციის სახე მაინც უცვლელი უნდა დარჩეთ და მუდმივი გაცხოველებული მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

ჯარების მთავარ სარდალი თავისი ხელქვეითებით მუდმივათ თავის პოსტზედ უნდა იდგეს, რომ როცა საჭიროება მოითხოვს ისე ნაჩქარევათ და საწრაფოთ არ მოგვიხდეს მოქმედება, როგორც ეს აქამდე იყო.

ყოველივე სხვა მოსაზრების გარეშე ჩვენ გვგონია ეკონომიური ინტერესების მიხედვითაც კი, ვერ იქნება მიზანშეწონილი ჯარების ასე მალ მალე დაშლა და დაწყობა და იმავე დროს თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს ჯერ კიდევ სავსებით გამოურკვეველ საერთაშორისო მდგომარეობას და მოსალოდნელ საჭიროებას ჯარების დამარებაში, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ისეთი ექსპერიმენტები სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის საქმეებში, რომელთა შესახებ, როგორც ამბობენ, ლაპარაკია მთავრობის წრეებში.

## თავისუფალი ვაჭრობის დეკლარაცია.

ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში გამოქვეყნებული იყო დეკლარაცია, რომელიც გამოსცა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ რესპუბლიკის საზღვრებში.

ეს დეკლარაცია დაკავშირებული ბათომის შემოერთებასთან. ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ ასეთი დეკლარაციის გამოქვეყნების საჭიროება. დიდი ეკონომიური ზარალი ვნახეთ იმის გამო, რომ ბათომის საქართველოსთან შემოერთების წინ არ გამოქვეყნდა მთავრობის აზრი უცხოეთის ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ ბათომში. უცხოეთის სავაჭრო წრეებში დიდი შიში გამეფდა. საქართველო მოდის თავის რეკვიზიციით და სოციალიზმითო, ავრცელებენ ხმას. ამას მოჰყვა დიდძალი საქონლის უკან დაბრუნება, უცხოელ ვაჭართა ბათომიდან გახიზვნა და უცხო ვალიუტის საზღაპრო გაძვირება.

ნათქვამია, სჯობს გვიან ვინემ არასოდესო. ფინანსთა სამინისტრო აქვეყნებს დეკლარაციას, სადაც საკმაოდ ნათლად არის გამორკვეული უცხო ვაჭრობის მდგომარეობა საქართველოში და ეს უთუოდ დადებით შედეგებს მოგვცემს.

დეკლარაცია კატეგორიულად ამბობს: „ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო გარანტიას აძლევს ყველას, ვინც კი შემოიტანს რესპუბლიკის საზღვრებში საქონელს, რომ მათი საქონელი თავისუფალი იქნება ყოველგვარი რეკვიზიციისაგან და რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე საქონლის თავისუფლად გაყიდვას არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზები არ ექნება (არ იქნება შევიწროება და განსაზღვრა)".

დეკლარაცია შემდგომ ჰპირდება უცხოელ ვაჭრებს, რომ სამინისტრო არ სდგამს ისეთს ნაბიჯებს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს უცხოელ ვაჭრები ინტერესებს, რომ ის არ შეჰზღუდავს ამ საქონელს არავითარი განსაზღვრული ფასებითა და ნიხრით, გარდა იმ ფუფუნების საგნებისა, რომელთა შემოტანა სრულიად აღკრძალულია.

დეკლარაცია აღიარებს თავისუფალს ტრანზიტს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში: აზერბეიჯანში, სომხეთსა და სპარსეთში და დაასკვნის, რომ საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილი ყოველგვარი საქონელი უცხო ვაჭრების მიერ, აღიარებულია მათ ხელშეუხლებელ საკუთრებად.

დეკლარაციის ეს ადგილები საკმაოდ არკვევენ უცხო ვაჭართა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ როდესაც ეს დეკლარაცია ეცნობა ჩვენი მისიების საშუალებით ევროპის კომერციულ წრეებს, თანდათან გაიფანტება ის შიში, რომელიც გამეფდა ამ წრეებში ბათომის შემოერთების დროს.

მაგრამ დეკლარაციას კიდევ უნდა ზოგი რამის შესწორება. თავისუფალი ტრანზიტის უფლება მყარდება ბათომის ნავთსადგურში აზერბეიჯან სომხეთ სპარსეთისათვის. არ არის არავითარი საბუთი, რომ ასეთი ტრანზიტი არ დაწესდეს რუსეთისათვის. თუ ეს პოლიტიკური ხასიათის განსაზღვრა იყო, რატომ ბოლშევიკურ აზერბეიჯანს უნდა მიენიჭოს ეს ტრანზიტის უფლება და სამხრეთ რუსეთის მთავრობას კი, საიდანაც ჩვენ ბევრი რამეს გამოტანა შეგვიძლიან, ეს არ მიენიჭოს. ბათომის გაძლიერების ინტერესები კი გვიკარნახებს, რომ ის გახდეს შავს ზღვაზე რაც შეიძლება უფრო მძლავრი საქონლის განმანაწილებელი ნავთსადგური, ამიტომ ნავთსადგურიდან ტრანზიტის თავისუფლება უნდა იყოს ყოველს მიმართულებით. ეს მოიზიდავს ბათომისაკენ ფრიად მძლავრ ეკონომიურ ძალებს, რაც ჩვენთვის დიდად ხელსაყრელია.

დეკლარაციას კიდევ უფრო მძიმე ნაკლიც აქვს. თითქოს ხაზი აქვს გასმული გარემოებას, რომ ყოველგვარი ეს უფლებები მხოლოდ უცხო ვაჭრებს ენიჭება და ჩვენსას კი არა.

„უცხო ვაჭრების მიერ შემოტანილი საქონელი მათ ხელშეუხლებელ საკუთრებას" შეადგენსო. თითქოს მოსალოდნელი არის, რომ ჩვენი ვაჭრების მიერ შემოტანილი საქონელი სხვა პირობებში იქნება. თუ ეს ასე მოხდა და ჩვენი ვაჭრები უარეს მდგომარეობაში ჩავაყენეთ უცხოელებთან შედარებით, ეს მეტად სახიფათო ნაბიჯი იქნება. ჩვენი ვაჭრები აქამდინაც გაცილებით უარეს პირობებში იყვნენ ჩაყენებული უცხოელებთან შედარებით და მათ სხვა და სხვა მომარაგების ორგანოებში ისე ტკბილად არ ექცეოდნენ, როგორც სხვებს, მაგრამ ამას ჩვენ ვხსნიდით ამ უწყებათა მეთაურების გამოუცდელობით და არ ცოდნით იმისა, რას ჩადიოდნენ. ერთს უკანასკნელს თათბირზე სწორედ ერთმა ასეთმა ხელმძღვანელმა აღიარა ჩვენი ვაჭრების მძიმე უფლებრივი მდგომარეობა და საჭიროდ დაინახა მათი უფლებების გაფართოვება. თუ ეხლა ძველი წესები კიდევ ხაზ გასმით დავაკანონეთ; ამით ჩვენ ბოლშევიკების გზას დავადგებით. მათ სავსებით გაანადგურეს თავის ეროვნული ვაჭრობა და მრეწველობა და ეხლა უცხოელ კაპიტალისტებს ემუდარებიან: მობრძანდით, როგორ პირობებში გნებავთ, ყოველგვარ გარანტიებს მოგცემთ და დაქცეული ეკონომიური ცხოვრება აღადგინეთო.

ჩვენ არ ვართ ვაჭრობის სრული და შეუზღუდავი თავისუფლების მომხრე, როგორც ამას სოციალისტები გვიკიჟინებენ. თანამედროვე სახელმწიფოში არ შეიძლება, რომ შეუზღუდავი თავისუფლება ჰქონდეს რომელიმე ჯგუფს ან წრეს, ყოველივე უნდა ემორჩილებოდეს იმ საერთო ნორმებს, რომელნიც გამომუშავდება ხალხის უმრავლესობის ინტერესების მიხედვით.

მაგრამ ცხოვრება ძალზე არ უნდა შევბორკოთ, წარმოებას და ეკონომიურ შემოქმედებას გზა არ უნდა დავუხშოთ. ერთი სიტყვით, უნდა დავადგეთ იმ პოლიტიკას, რომელსაც დაწინაურებული ქვეყნები აწარმოებენ და დავშორდეთ ბოლშევიკურ წესებს, რომელიც ჰკლავს ცხოვრებას.

მაგრამ ყოველივე ამ ზომების შემუშავების დროს ეროვნული კაპიტალის ინტერესები არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობას უკეთეს პირობებში თუ არ ჩავაყენებთ, მათთვის უარესი მდგომარეობა მაინც არ უნდა შევქმნათ, თორემ ეროვნული კაპიტალის უარეს პირობებში ჩაყენებას მოჰყვება მისი სრული დამარცხება და განადგურება უცხოელებთან კონკურენციაში.

ეროვნული კაპიტალის განადგურება კი მოასწავებს ქვეყნის ეკონომიურად გაღატაკებას და დაქვეითებას. ეს დამღუპველი იქნება მთელი ქვეყნისათვის მთელი ერისათვის.

გვახსოვდეს რუსეთის მაგალითი!

# საზოგადო მეურნეობა.

ჩვენი სოციალისტური პარტიები დიდს იმედებს ამყარებენ საზოგადო მეურნეობას. მათის აზრით სახელმწიფო და ერობა-ქალაქები თუ მოჰკიდებენ ხელს სურსათისა და სხვა საჭირო საქონელის სყიდვა-გაყიდვის საქმეს, ცხოვრება უთუოდ გაიაფდება. სამწუხაროდ, ჩვენ სულ წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. რამდენად მეტს ერევა მთავრობა ამ საქმეში, იმდენად უფრო და უფრო აუტანელი ჰხდება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენ მრავალჯერ აღვინიშნავს, რომ როდესაც ქალაქები და სახელმწიფოები იწყებენ ისეთი საქმის წარმოებას, რომლისთვისაც მათ არც სანდო და არც მცოდნე პირები არ ყავთ, ამით თუ ვინმე იგებს, მხოლოდ ის მოხელენი, რომელნიც სახაზინო ქონებას ჰქურდავენ, და მაზე სპეკულიაციას აწარმოებენ. ხალხი და ხაზინა კი მუდამ წაგებული რჩება. არა მარტო ჩვენში, არამედ დაწინაურებულს ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს და ქალაქებს გაცილებით მეტი მცოდნე და სანდო პირები მოეძებნება, შემჩნეულია, რომ საზოგადო წარმოება უმეტეს შემთხვევაში ზარალს იძლევა და ამასთანავე ანვითარებს მოხელეებში მექრთამეობას და სხვა ბოროტმოქმედებას. ამიტომ, დაწინაურებულს ქვეყნებში სახელმწიფო და ქალაქები ძლიერ გაუფრთხიან საზოგადო მეურნეობის გაფართოვებას. ტრამვაის, წყალსადენსა და სხვა ასეთს საქმეებს თუ იღებენ ხელში. იმასაც უმეტეს შემთხვევაში ისინი კი არ აშენებენ, არამედ კერძო პირებისაგან ღებულობენ სრულიად მუქთად სხვა და სხვა კონცესიის ვადის დასრულების შემდგომ. ჩვენში კი ყოველ გვარს წარმოებას უპოტინებიან ერობა ქალაქები და ამისათვის აურაცხელ თანხებს თხოულობენ ხაზინიდან, ან და კიდევ კერძო სხვა საქმეებს, რომლის გაძღოლა მათ არ შეუძლიანთ, ართმევენ კერძო პირებს, რომელთაც ეს საქმე გაცილებით უკეთ მიჰყავთ. ეს, რასაკვირველია, არ აიაფებს ცხოვრებას, არამედ საშინლად აძვირებს მას. ამასთანავე ასეთი მეურნეობა ჰრყვნის მოხელეთ, რომელთაც აბარიათ მილიონის საქმეები.

ჩვენი ასეთი აზრების საპასუხოდ სოციალისტურ ეკონომისტებს ვერავითარი საბუთი მოუძებნიათ გარდა იმისა, რომ ჩვენი შეხედულობა სპეკულიანტების დაცვად მონათლონ. „ბორბას" უკანასკნელი მეთაური ურჩევს ჩვენს დემოკრატიას, რომ მან „ზიზღით გაუაროს გვერდში სპეკულიაციის იდეოლოგების ამ აზრებს". ჩვენ მრავალჯერ გვითქვამს, რომ გაზეთი „ბორბა" და ყველა მისი ავან-ჩავანები არის ის ბოროტი ბუდე, საიდანაც გამოიჩეკა დღეს ასე ფრთა გაშლილი და გაძლიერებული სპეკულიაცია. აქ იბადებოდა და იბადება ყველა ის ღონისძიებანი, რომელნიც სრულიად ანადგურებენ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას, სპობენ წესიერ ეკონომიურ საქმიანობას და აბატონებენ სოციალისტური ბიუროკრატიის ბოროტ მოღვაწეობას.

ჩვენს მოყვანილს ფაქტებს „ბორბა" არ დაიჯერებს. ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთს ცნობას მის თანამოაზრე სოციალ-დემოკრატიულ გაზეთიდან შესახებ იმ საზოგადო მეურნეობისა, რომელმაც უნდა გააიაფოს ჩვენი ცხოვრება:

## უპასუხისმგებლობა.

(ქ. თბილისის სასურსათო განყოფილებაზე).

„ჩვენში ერთმა არა სასიამოვნო მოვლენამ იჩინა თავი. საზოგადო დაწესებულებაში გამოქვეყნდა, ბოროტმოქმედება; დამნაშავე, მაგრამ კანონი ვერაფერს მასთვის არ არისებობს, პასუხისგებაში იშვიათ შემთხვევაში აძლევენ ბოროტმოქმედს. ალბათ იცოდიბით.

ავიღოთ მაგალითად ქალაქ თბილისის სასურსათო განყოფილება, განყოფილებას აქვს სასურსათო დუქნები, რომელნიც დაყოფილია უბნებათ. თუ რა ხდებოდა და რა ხდება დაწვრილებით ამ დუქნებს და განყოფილებების კედლისებში, ეს გამგეობას და მოსამსახურეების სინდისის მოეკითხოს.

ჩვენ დავკვრით შევეხებით. საკმარისია გავიხსენოთ გვარები: ბუდუხინი, ბაგატელო, ლავროვი, ლიშკო, ტერ-ოხიპიანცი, ტერ-მინასიანცი, მარტინიანცი, ლაბაძე, ეგიაზაროვი, მაზმანოვი, ტკაჩოვი, ასლანოვი, ანტონოვი... კმარა.. მეშინიან უფრო დიდებიც არ მოყვნენ ამ სიაში

ეს ვაჟბატონები ზოგს საქმის მწარმოებლების ადგილი ეკავათ, ზოგს სასურსათო განყოფილების გამგებლობა, ზოგს კანტროლიორობა და სხვა. დანაშაული? ზოგმა საზოგადო ფული მიითვისა, ზოგმა შაქრის ბარათებით ბოროტათ ისარგებლა, ზოგს ბრინჯი, შაქარი და სხ. სანოვაგე გაჰქონდათ, დუქნებიდან და თათრებზე ჰყიდდა. ზოგი სარგებლობდა საზოგადოების ნდობით და სპეკულიაციას ეწეოდა და სხვ.

მიუხედავათ ამისა, უმეტესნი დასჯისაგან თავისუფლად და პასუხის მგებლობას არ გრძნობენ.

წინათ გრობში არ ჰქონდა ჯიბეში, ეხლა „შეძენილ" ფულით გახსნეს რესტორანები, იყიდეს სახლები და სხვა და სხვა თუ ვინმემ მათ წინააღმდეგ ხმა ამოიღო, ავადმყოფობის ამის სამსახურიდან „განთავისუფლებენ", როგორც ეს დაემართა ა. ვაჩნაძეს (იხილე ქალ. სარევიზიო კომისიისაგ. 6.) ასეთი მოპყრობა იწვევს მას, რომ ბოროტ-მოქმედება კვლავ გრძელდება და არ შეწყვეტილა.

მაგალითად, ქურდობა პირველ სამანუფაქტურო ქალაქის მაღაზიაში და სხვ.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს სასტიკი ყურადღება. ბოროტ-მოქმედნი უნდა სასტიკად დაისაჯონ. არავის შებრალება არ შეიძლება. ისინი მცხოვრებლებს ართმევენ ლუკმა პურს, ხალხის სიმდიდრეს ითვისებენ.

ეს ფაქტები ჩვენ აღვნიშნეთ იმიტომ, რომ დამფ. კრებამ ამ ხანად 50 მილიონი მისცა სესხათ თბილისს სასურსათო საქმისათვის. თუ ან ძლიერ ფხიზლათ არ იქნა ამ საქმის მეთაური, თვითონაც შერცხვება და ქალაქსაც დიდ ზიანს მიაყენებს საჭირო მეტი პასუხისმგებლობა.

(„ხივი") ქართლელ იმერელი

## ბ. კახელაძის წერილის გამო.

თვით მკითხველი დაინახავს თუ რამდენათ ძნელი იქნებოდა ბ. კახელაძესთან ლაპარაკი, რომ დოკუმენტებზე არ იყოს აგებული ყოველივე ის, რასაც ვამბობ და თვით დოკუმენტები ხელთ არ გვქონდეს. საქმე შემდეგშია: როცა დავანებე ბათომში მუშაობას თავი ყოველივე საქმეები გადავეცი ჩემ მოადგილე ბ. კახელაძეს. სხვათაშორის შევადგინეთ ოქმი—სია იმ საქონელთა (ქერი, პურის ფქვილი და მანიკრუპა), რომელიც ჩემ მიერ იყო შეძენილი და ჯერ კიდევ გამოუგზავნელი იყო ბათომიდან, და ეწყო იქაურ საწყობებში.

ერთი პირი ამ ოქმისა, თვით ბ. კახელაძის ხელით დაწერილი მაქვს მე, მეორე პირი კი აქვს ჩაბარებული მას, ბ. კახელაძეს.

ამ ოქმის მე-8-ე პუნკტში სწერია შემდეგი: „მანიკრუპა 540 ფუთი შეძენილი ლენცისაგან აწყვია „მინირვირში" (საწყობია) ბ. კახელაძემ გარდა მანიკრუპისა, ყველაფერი გამოგზავნა თბილისში. მხოლოდ ამ კრუპის შესახებ გავიგე 17 ივლის თვით ა. მომარაგების მინისტრისაგან, რომ იგი, მომარაგების მინისტრი, ეხლახან დაბრუნდა ბათომიდან და იქ უთხრეს, რომ ლენცისაგან ნაყიდი მანიკრუპა სრულიად გაფუჭებულა. მე გამიკვირდა ეს—ასე კრუპის გაფუჭება ყოვლად შეუძლებელია და მით უფრო დიდი ხანი არ არის რაც ნაყიდია—გარდა ამისა საწყობიც პირველ ხარისხოვანია. ბ ნ მინისტრმა დამავალა წავსულიყავი ბათომს და გამომერკვია საქმე. და აგრეთვე შესაფერი ტელეგრამაც გაუგზავნა ბ. კახელაძეს. მე დაუყონებლივ ჩავედი ბათომში და იქ გამოირკვა შემდეგი: კრუპა, რომელიც იყო შეძენილი ლენცისაგან და ეწყო ამხ. „ალხაზ"-ის საწყობში (მინი დვორი) გატანილია ორ გზობით—4 ივლის არის გატანილი 10 ტომარა და მიტანილია ბ. კახელაძის კანტორაში. დანარჩენი 81 ტომარა გატანილია 7 ივლისს (საწყობიდან გატანილი ორდერის № 192) და გადაცემულია რიზა ეფენდი-ხალიბ-ზადეზე რომელსაც თვით ამხ. „ალხაზის" ავტომობილებით გადაუტანია ეს კრუპა და გადატანის ქირაც მას გადაუხდია (№№ 37—კვიტანციები) მან გადაიხადა აგრეთვე შესანახი კრუპისა. ამას ამბობს ამხ. „ალხაზი"-ს კონტორის წიგნები.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის გამოძიებამ გამოარკვია აგრეთვე რომ ხალიბ-ზადემ კრუპა მიიტანა ავტომობილებით აბრამოვიჩის კანტორაში და მათ ეს კრუპა მიყიდეს მეფურნეებს 2400—2800 მანეთად ფუთი. აგრეთვე მილიციამ აღმოაჩინა აბრამოვიჩის და ზადეს კანტორაში ნაწილი მანიკრუპისა, რომელიც კარგი ხარისხის იყო (ოქმი სისხლის სამარ. მილიც. უფრ. გამოძიებისა)

ბ. კახელაძეს კანტორას კი აქტი კრუპის გაფუჭების შესახებ შედგენილი აქვს 9 ივლის ე. ი. 4 და 7 ივლის კრუპა გაყიდულია და გატანილია საწყობიდან 9 ივლის კი ადგენენ აქტს კრუპის გაფუჭების შესახებ. საინტერესოა თვით აქტი: „1920 წ. 9 ივლისი ქ. ბათომი. ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი ექსპედიტორი მომ. სამინისტროსი ბათომში ჯ. ფოცხიშვილი და რწმუნებული მომ. სამინისტროსი დ. ს. კახელაძე და მე-5-ე კომისარიატის მილიციონერი დ. ჟორდანია ვაჭარ ლენცის განცხადების თანახმად წავედით მინი დვორში სადაც ეწყო მანიკრუპა შეძენილი ყოფილ მომ. სამინისტროს რწმუნებულის გ. საყვარელიძის მიერ ლენცისაგან და ვნახეთ, რომ ზემოაღნიშნული კრუპა სრულიად გაფუჭებულა пришла въ совершимую негодность რაზედაც შევადგინეთ ეს აქტი და დავადგინეთ—10 ტომარის გარდა ყველა მოვსპოთ (предложили уничтожить.)

ბ. კახელაძე ბრძანდება მომარაგების სამინისტროს რწმუნებული ქ. ბათომში, სადაც სწარმოებს ამ სამინისტროს უდიდესი ოპერაციები ასეულ მილიონ მანეთის. ბ. კახელაძის მოადგილე წინად ყოფილა წერილის ავტორი ბ. საყვარელიძე, რომელიც სამინისტროს ალბათ საქმეზე ჩამოუშორებია, როგორც კი გამორკვეულა ბ. კახელაძის დიდი სავაჭრო ნიჭი „მანნი კრუპას" ოპერაციებში.

ასლს ამ აქტისას ბ. კახელაძის მიერ შემოწმებულს, აგზავნის მომარაგების სამინისტროში შემდეგი შინაარსის ქაღალდით: „ამასთანავე ვაახლებთ აქტს მანიკრუპის შესახებ, რომელიც გამოიწერა მიტომ რომ დროზე ვერ იქნა გაგზავნილი საყვარელიძემო. უფრო საინტერესო კი შემდეგია—ამ აქტს აწერენ ხელს ყველანი.

ფოცხიშვილი, მილიციონერი ჟორდანია, აგრეთვე ლენცი, გარდა ბ. კახელაძისა, რომლის დასწრება აქტის შედგენის დროს აღნიშნულია აქტის ტექსტში, დაუკვირვებლათაც მიხვდება კაცი, თუ რაშია საქმე—აქტის ტექსტში მოხსენებულია ბ. დ. ს. კახელაძე, ხელს რაღაცა მოსაზრებით არ აწერს აქტს, მაგრამ ასლს ამოწმებს „დედანთან სწორია დ. კახელაძე" და აგზავნის სამინისტროში ზემოაღნიშნული შინაარსის ქაღალდით. ეხლა კი ბ. კახელაძე ასე გაუგებარი სიმამაცით აცხადებს: საყვარელიძეს ჩემთვის არც მანიკრუპა ჩაუბარებია, არც აქტი შემიდგენია და არც ხელი მომიწერიაო". გასაკვირველი ამბავია! შეიძლება მე მკვდარი ვგონივარ ბ. კახელაძეს? ჯერ ერთი ის რომ ბ. კახელაძეს საქონელთა სია ქონდა, სადაც მოხსენებულია ლენციდან ნაყიდი კრუპაც. იმ სიიდან ყველა საქონელი გამოგზავნა გარდა ამ კრუპისა. მეორე ვთქვათ მე სრულიად არაფერი მითქვამს კრუპაზე და სიაც არ გადამიცია მისთვის.

აქტით და სამინისტროს გაგზავნილი ზემოაღნიშნული. ქაღალდით ბ. კახელაძე ადასტურებს, რომ ბათომში ყოფილა ჩემ მიერ შეძენილი კრუპა, რომელიც „გაფუჭებულია" (ალბათ მიტომ იყიდებოდა ისე ძვირათ! ბ. კახელაძემ უნდა იცოდეს, რომ ჩაბარების დოკუმენტებს მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, რომ მას უარი ეყო და ოფიციალურად არ აღიარებია კრუპის არსებობა (თუნდ „გაფუჭებული"-ს), როცა აქტს ადგენდა ბ. კახელაძე ვის კრუპაზე ადგენდა აქტს არ იცოდა? აქტზე ხელი არ უწერია, მაგრამ თვით აქტშია მოხსენებული მისი გვარი, როგორც დამსწრესი და როცა ასლს იღებდა და ამოწმებდა და ჰგზავნიდა სამინისტროში, ამოიკითხა თუ არა თავისი გვარი იქ? თუ მართლა იყო საწყობში (რომელიც, სხვათაშორის, ორ ნაბიჯზეა კანტორიდან) და თუ დაესწრო, აქტის შედგენაზე ხელი უნდა მოეწერა. თუ არა და რად არ მიიღო სათანადო ზომები ასეთი სიყალბის წინააღმდეგ?

რომელი ერთი დავასახელო! საქმე ყოველ მხრიდან ნათელია.

აქტზე ხელის მოუწერლობა ეს ვითომ ხვრელია ბ. კახელაძის მიერ დატოვებული გასაძრომათ, მაგრამ შევამოწმე, ნახვრეტი ვიწროა და ვფიქრობ რომ იგი გაეტიოს შიგ. ასეთია მოკლეთ ბ. კახელაძის „გულხით ნაკეთები" საქმის ვითარება. ბევრის ლაპარაკი და მტკიცება შეიძლებოდა ამ საქმეზე—მაგრამ ესეც კმარა ჯერ-ჯერობით. როგორც კახელაძის წერილიდან სჩანს იგი სამართალს ეძებს და ემუქრება ყველას პასუხისგებაში მიცემით. თუ ცოტა ხანს მოიცდის, სამართალი თვით მისძებნის მას და მაშინ ავოს პასუხი. რაც შეეხება იმას რომ მე რაღაც დანაშაული მინდა ავიცდინო „ამ საქმეში" ეს კი ალარ მესმის! ალბათ დროზე ვერ გამოვგზავნე და მიტომ „გაფუჭდა", მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ბ. კახელაძეს თავისი აქტით კრუპის გაფუჭების შესახებ ყოველგვარ დანაშაულობას „ამ საქმეში" ემარხავდი. მე აღმოვაჩინე რომ კრუპა კარგი იყო და გაყიდულა, აქტი კი ყალბია ესეც მეორე დანაშაული „ამ საქმეში".

ბ. კახელაძეს არ ესმის რას ლაპარაკობს. შეიძლება ამ ნაირი ბრალდებისათვისაც მივცე პასუხის გებაში—მაგრამ ორი ტყავის გაძრობა მისგან არ ღირს.

(„ხივი") გრ. საყვარელიძე.

## პირველი სანატორიუმი ბორჯომში.

(სპეც. კორესპონდენტისაგან).

კვირას, მარიამობისთვის 29-ს, ბორჯომის „ძველ სასახლეში" დიდი ზეიმით გაიხსა პირველი ქართული სანატორიუმი. უკვე რამოდენიმე თვეა, რაც მიწად მოქმედების სამინისტროს და ჯანმრთელობის დეპარტამენტის თაოსნობით მუშაობდა სპეციალური საკურორტო კომისია საქართველოში სანატორიუმების გახსნისათვის და საერთოდ ხალხის გაჯანსაღებისათვის საჭირო ზომების მისაღებათ. ბორჯომის სანატორიუმი პირველი მიღწევაა ამ კომისიის მუშაობისა.

საზეიმო გახსნას მრავალი მოპატიჟებული სტუმარი დაესწრო, მათს რიცხვში იუსტიციის მინისტრი არსენიძე ტათა

ქ. ლანჩხუთში არსდება გ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

# გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის **ორი მილიონი მანეთი**

თითო აქცია ღირს **1000** მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად **50** მან. თითი ხმის უფლებას ანიჭებს **5** აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება **500** მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის **50** მან. ე. ი. თითოაქციაზე **550** მან.

ახლავდო ოფიციალურ ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბათს, 9—ხუთშაბათს და პარასკევს ამა სექტემბერს: ლანჩხუთში—საურთიერთო ბანკში. თბილისში—ცენტრო-ბანკში. ქუთაისში—ვლადიმერ იაგორისძე გვარჯალაძესთან. ფოთში—ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში—მოსე იაგორისძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში—ელისე ანთელაძესთან. სამტრედიაში—სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილთან და სუფსაში—კონსტანტინე ჭანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

1—3075—7

გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

ჯარ-სარდალი კვინიტაძე, გვარდიის მთავარი შტაბის უმფროსი ვალ. ჯუღელი, ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი ს. ჯაფარიძე, უცხოელი სტუმრები: მათს შორის პროფ. მანუილოვი, მეზერნიცკი, წარმომადგენლები სხვა და სხვა საპროფესიო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სხვანი.

სანატორიუმის მდგომარეობის შესახებ და იმ განზრახვებზე, რომელიც საექიმო პერსონალს მიზნად აქვთ დასახული მოკლე მოხსენება გააკეთა ექიმმა მ. ო. ზანდუკელმა, რომელიც მოწვეულია სანატორიუმის დირექტორათ. მასთან ერთად ბორჯომის სანატორიუმში სამუშაოდ მოწვეულნი არიან პროფ. ალადაშვილი, ექიმი შალვა მიქელაძე.

ბორჯომის სანატორიუმის მნიშვნელობის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს იუსტიციის მინისტრმა არსენიძემ, ს ჯაფარიძემ, პროფ. კავშირების თავმჯდომარემ ხელაძემ და სხვებმა. ყველა ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ბორჯომის სანატორიუმი უნდა გახდეს განსაკუთრებით მუშათა კლასის დასასვენებელი და მოსავლელი ადგილი.

ოფიციალ ცერემონიის შემდეგ სტუმრები მიპატიჟებულ იქნენ საუზმეზედ, სადაც მრავალი სიტყვა წარმოითქვა და ზეიმს მხიარული ელფერი მიეცა.

ნასიამოვნები საზოგადოება 4 საათისთვის დაიშალა.

## მესხეთ-ჯავახეთი.

**1. მესხეთ-ჯავახეთის სკოლების შეკეთება.**

განათლების სამინისტრომ გაუხსნა ახალციხის სამაზრო ერობას ერთი მილიონი მანეთის კრედიტი მესხეთის სკოლების შენობათა შესაკეთებლად. ერობა უკვე შეუდგა სამინისტროსაგან სკოლების ჩაბარებას.

დაახლოებით ამდენივე თანხაა საჭირო ჯავახეთის სკოლების შესაკეთებლად. აქ შესაკეთებელი და გასაახლებელია 27 სკოლა. თითქმის სრულიად განადგურებულია სომხური სოფლების სკოლები. ადგილობრივის სასოფლო ადმინისტრაციის ცნობით თათრების წასვლის შემდეგ სკოლები თვით სოფლელებს დაურბევიათ, რომელთაც ჭერ-იატაკი და ხის ავეჯეულება საწვავ მასალად უხმარიათ. განსაკუთრებით განადგურებულია არაკვის, ალასტანის და დილისკას სასკოლო შენობები. შედარებით კარგად არის დაცული ქართული სკოლები ზარალეთში, ქალდასა, ჩეჩხში და სხვაგან. ამათზე უკეთ შენახულია რუსული სკოლები, დუხობორებში, სადაც მხოლოდ ზოგიერთ ფანჯარაში რამდენიმე შუშა ჩამტვრეული.

სკოლების შესაკეთებლად ადგილობრივი სასკოლო და სამაზრო ადმინისტრაცია უკვე შეუდგა სახაზინო ტყეებიდან ხის მასალის გამოტანას, რომელიც გროვდება ახალქალაქში, ზარალეთსა და ალასტანში შენობათა და ავეჯეულობის დასამზადებლად.

**2. სკოლების რიცხვი მესხეთ-ჯავახეთში.**

გასული სასწავლო წლის განმავლობაში ახალციხესა და მის მაზრაში მოქმედებდა სულ 14 სასწავლებელი. ამათში 5 იყო ქალაქში, 9-მაზრაში. ქალაქში არსებობს ერთი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ქართულ-სომხური კლასებით; 4.-დაწყებითი: ქართული, სომხური და ქართველ-მუსულმანთათვის. მომავალი სასწავლო წლიდან მაზრაში გაიხსნება კიდევ 10 დაწყებითი სკოლა.

ჯავახეთში (ახალქალაქის) მაზრა იყო მხოლოდ 4 სკოლა: ორი-ახალქალაქში. მათში ერთი უმაღლეს დაწყებითი და ერთიც დაწყებითი ქართულ-სომხური განყოფილებებით. ორიც იყო მაზრაში—ქართული და რუსული დუხაბორების. მომავალი სასწავლო წლიდან ახალქალაქში გაიხსნება უმაღლ დაწყ. სკოლასთან სომხური განყოფილებებიც, ხოლო მაზრაში—ოცამდე დაწყებითი სკოლა.

**3 საჭიროა მასწავლებლები.**

მესხეთ-ჯავახეთში საჭიროა დაწყებითი სკოლის მასწავლებლები: ვისაც ჰსურს მესხეთში მასწავლებლობის ადგილის მიღება, უნდა მიჰმართოს ახალციხეში სამაზრო ერობას, ხოლო ვისაც ჯავახეთში ჰსურს სამსახური, უნდა ახლავე განაცხადონ განათლების სამინისტროში სადაც პირობების შესახებაც შეიძლება მოლაპარაკება დაბა-სკოლათა მთავარ-გამგესთან.

**4 მოგზაურობიდან დაბრუნება.**

სახალხო სკოლათა მთავარი გამგე გ ჰ უ მ ბ უ რ ი ძ ე დაბრუნდა მესხეთ-ჯავახეთიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

**5. მასწავლებელთა მოსამზ. კურსები.**

დასრულდა მეცადინეობა სამურზაყანოს სახალხო სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე, რომელიც მოწყობილი იყო ქუთაისში. სამინისტრო კურსების ხელმძღვანელისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

სამურზაყანოელ მასწავლებელთათვის ქუთაისში მოწყობილ კურსებზე მეცადინეობა დასრულდა. გამოსათხოვარი საუბარში მასწავლებლებმა ერთხმად დასავალეს მოგიძღვნათ ულრმესი მადლობა ყურადღებისათვის და კურსების მოწყობისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემს ძირებული ცოდნა ხალხის საკეთილდღეოთ გამოიყენონ და უხეში ძალით გათიშული საქართველოს მკვიდრი მოძმე ერის, აფხაზების, დაახლოვებას და შეერთებას ხელი შეუწყონ. კურსების ხელმძღვანელი ლაზარე ხმალაძე.

6.

ასეთივე კურსები იყო მოწყობილი რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში: ტფილისში (მუსულმანთა სკოლებისათვის) ბორჩალოში ბერძენთათვის, სიღნაღში, ლეჩხუმში, რაჭაში, ზესტაფონში, სენაკში და ოზურგეთში. ხოლო ზუგდიდსა და თელავში გაიხსნა ხანგრძლივი, თავიანი კურსები—თიბერვლიდან აგვისტომდე. კურსებზე მეცადინეობა უკვე დასრულდა, სადაც „400 მდე" ხალგაზდამ მიიღო შესაფერი მომზადება და დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება.

გაზ. „საქართველოს" კონტორა

ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზეთი თვიურად ღირს 30 მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

# უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევა

დამფუძ. კრების 1919 წ. ივლისის 11-ს დადგენილების მალით იძულებით ერთმევა არონ გაბულაშვილს სოხუმში მდებარე თავისი უძრავი ქონება ყველა შენობებით, რომელიც მოთავსებულია შემდეგ საზღვრებში: სამხრეთით,—მაზრის ქუჩა, დასავლეთით მიხეილი სიჭინავა, ჩრდილოეთით ალ. ჯაიანი, აღმოსავლეთით ვორონცოვის ქუჩა.

სოხუმის ქალ. გამგეობა. 16. 3—1.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს,

თბილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენში"

განათლების სამინისტროს ნება დართვით

გაიხსნება 8 თვიანი უფასო ქართული

# ტან-ვარჯიშული სკოლა

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი, არა უმცირესნი 18 წლისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 ს. —1-ლ საათამდე.

ყველა კურს დამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებლებში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12-დან—1 საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა გაშინჯულ იქნებიან ექიმის მიერ.

ტანვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი.

1—12 6—1.

## თევზის მრეწველობა საქართველოში.

ვაჭრობა მრეწველობის კომიტეტში ამ დღეებში შავი ზღვის სანაპიროებზე თევზის მრეწველობის განვითარების საკითხი განიხილეს. ფინანსთა მინისტრს სათანადო მოხსენება წარუდგინა გ. გარამ, რომელიც აღნიშნავს, რომ ბათომის ოლქის შემოერთების შემდეგ საქართველო დაახლოვებით შავი ზღვის ნაპირას 250 ვერსის სიგრძეზე მდებარეობს. ამ ჟამად ეს ზღვის ხაზი თევზის მრეწველობის მხრის სრულიად არ არის გამოყენებული. საქართველოს შეუძლიან ზედმეტი თევზის ევროპასათვის მიწოდება, დანარჩენით კი კონსერვების დამზადება. მოხსენებაში აღნიშნულია კერძოთ საჭიროება დელფინების დაჭერისა. გარი საქართველოს მფლობელობის ქვეშ მყოფ ზღვის ხაზზე თევზის მრეწველობის მოწყობის უფლებას ითხოვს. ამ საკითხების განხილვის დროს ვაჭრობა-მრეწველობის პალატაში აღნიშნეს, რომ ზღვის სიმდიდრის დაუმუშავებლობა დიდი ნაკლულოვანება არისო. ამ საქმის მოგვარების შემდეგ შეიძლება არა მარტო მცხოვრებლების თევზით უზრუნველ ყოფა, არამედ შეიძლება საზღვარ გარედ თევზის ქონის გატანაც. ამისათვის საჭიროა თევზის მრეწველობის ფართო ნიადაგზე დაყენება, ესე იგი უნდა შეიქმნეს თევზის საჭერ გემების ფლოტილია, უნდა შეიძინონ ბადეები და სხ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დელფინებისდაჭერას და ქონის შოვას. ქონი საჭიროა სხვა და სხვა საქონლის დასამზადებლად. ამ მოსაზრებით ვაჭრობა-მრეწველობის პალატამ მიმართა ვაჭრობის მინისტრს განცხადებით, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ გარის მიერ აღძრულ საკითხს ეროვნულ მრეწველობის განსავითარებლად დიდი მნიშვნელობა აქვსო, განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს დელფინების ჭერას რომლის ქონის გარდა ტყავსაც დიდი ფასი აქვსო. თევზის მრეწველობას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ჟამად ბაზარზე აზერბეიჯანთან კავშირის დაკარგვის გამო თევზის დიდი ნაკლულოვანება არის,

## ვალიუტის საქმის მოწესრიგება.

სახელმწიფო ბანკის საბჭომ ვალიუტის საქმის მოწესრიგების მიზნით მთავრობას შემდეგი დებულებები წარუდგინა დასამტკიცებლად: ეკონომიურ საბჭოს დარსებამდე განზრახულია ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით საგანგებო თათბირის მოწყობა, რომელშიც შევლენ: მომარაგების სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები. ამ თათბირს უფლება ეძლევა გამოსცეს განკარგულებანი შემდეგი საკითხების შესახებ: ა) რესპუბლიკის ფარგლებში ვალიუტის ოპერაციის წარმოების შესახებ, ბ) საჭიროების დროს, როგორც ოპერაციების, ისე იმ დაწესებულებათა შემცირების შესახებ, რომლებიც ამ ოპერაციებს აწარმოებს, გ) საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ, 2) ყველა ფულის ნიშანი, გარდა ამიერ კავკასიის და საქართველოს ბონებისა, საზღვარ გარეთის ფულის ნიშნებად უნდა ჩაითვალოს, 3) სახელმწიფო ბანკიდან უნდა მოეწყოს სავალიუტო ფონდი, რომელშიაც გადაირიცხება 25 პროც. იმ მოგებისა, რომელსაც ნახავს მთავრობა, ან მისი ორგანოები საზღვარგარეთიდან წარმოებულ ოპერაციებიდან, 4) ჩამოთვლილ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება ევალება სახელმწიფო ბანკს, რომელმაც ამ მიზნისათვის უნდა შეადგინოს სავალიუტო კომიტეტი. ამ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სავაჭრო სამრეწველო პალატის და ყველა იმ საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა რომლებსაც აქვთ ნებართვა სავალიუტო ოპერაციების წარმოებისა კომიტეტის დადგენილებანი ძალაში. შედის სახელმწიფო ბანკის გამგის დამტკიცების შემდეგ. 5 სავალიუტო კომიტეტის ორგანიზაციის პროექტი დასამტკიცებლად საგანგებო თათბირს უნდა წარედგინოს 6) ისინი, რომლიც საგანგებო თათბირის დადგენილებას დაარღვევენ, უმაღლეს სასჯელით უნდა დაისაჯონ. სახელმწიფო ბანკის საბჭოს ეს პროექტი მთავრობის სხდომაზე უნდა განიხილოს.

# დეპეშები

## ინგლისური პრესა.

**ვინოგრადოვის წერილი რუსეთის შესახებ.**

18. „ტაიმსი" აქვეყნებს ვინოგრადოვის წერილს, რომელშიაც აღნიშნულია: ბოლშევიკებმა გამოიწვიეს ბრძოლაში მთელი კულტურული ქვეყანა. შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ანტანტა მიუხედავად თავის სურვილისა, უნდა ჩაერიოს საბჭოთა რუსეთის ბრძოლაში. ბრიტანეთის დემოკრატია არ დასთანხმდება ახალ სისხლის ღვრაზე, მაგრამ ინგლისს აქვს სხვა საშუალებაც, რომ საბჭოთა რუსეთზე იმოქმედოს, ანტანტამ ბოლოს უნდა გაიგოს, რომ საბჭოთა წყობილება ძალმომრეობის წყობილებაა და დამყარებულია დაქირავებულ ხიშტებზე. ინგლისმა ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი მხარე უნდა დაიკავოს, ან მოსკოვის ოლიგარხიისა, ან ყირიმის პატრიოტებისა.

## ფრანგული პრესა.

**ბოლშევიკების პოლიტიკა აზიაში.**

„ტანი" ლოიდ-ჯორჯის, საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის ნაციონალისტების შორის არსებულ დამოკიდებულებას უბრუნდება. ტანი იუწყება: თანახმად არსებულ ნამდვილ ცნობებისა. საბჭოთა მთავრობამ ოსმალეთთან პოლიტიკურ ეკონომიური კავშირი შეკრა. ბოლშევიკები უფრო გონიერათ მოქმედობენ, ვიდრე ლოიდ-ჯორჯს ჰგონია. აღმოსავლეთში არსებული მოვლენები ჩვენ უნდა შევადაროთ რუსეთისა და ოსმალეთს შორის ძველად არსებულ განწყობილებას თვალსაზრისით, რომელიც მათ ქიშპობაში გამოიხატებოდა.

ინგლისელებმა თავისი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ყირიმიდან აღმოსავლეთში გადაიტანეს. ინგლისი ეხმარება სტამბოლს, თეირანს, და ათინას, ბოლშევიკები კი ქემალ ფაშას, სპარსეთის ნაციონალისტებს და სხვებს. თუ ბოლშევიკებმა მცირე აზიის პოლიტიკაში თავის მიზანს მიაღწევს მაშინ ინდოეთის მშვიდობიანობა საეჭვო გახდება.

**ბურცევი ბოლშევიკების წინააღმდეგ.**

„ობშეე დელოში" დაბეჭდილია ბურცევის წერილი შემდეგი სათაურით „კმარა სიბრმავე, კმარა სიგიჟე" ბურცევი მოითხოვს, რომ მოკავშირეებმა შესწყვიტონ ყოველგვარი მოლაპარაკება ბოლშევიკებთან. ბურცევი მიმხრეა ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ ჯვაროსნულ გალაშქრებისა და რჩევას იძლევა, რომ ბოლშევიკების საწინააღმდეგო ძალების წარმომადგენლად იცნონ გენ. ვრანგელი. თუ ვრანგელი სავსებით დემოკრატი არაა, ყოველ შემთხვევაში, ბოლშევიკებზე მეტი დემოკრატია. ბურცევი წინადადებას აძლევს ინგლისს, გერმანიას და ავსტრიას გააძეონ თავის სახელმწიფოს საზღვრებიდან ბოლშევიკი მოღვაწეები. გერმანიას არ ესმის რომ ის ნეიტრალიტეტით თავის თავს იღუპავსო.

## გერმანული ცნობები.

**პატარა ანტანტის შექმნის პროექტი.**

შეერთებული შტატების მთავრობამ გააფრთხილა პოლონეთი, თქვენი ტერიტორიის იქით ომს ნუ განაგრძობთო. მიუხედავად ამისა, ანტანტის სურს რუსეთის მეზობლად მდებარე პატარა სახელმწიფოების გაერთიანებით დაამარცხოს წითელი ბოლშევიზმი. ზოგიერთ სახელმწიფოებში მცირე ანტანტის შექმნის საკითხი დღიურ საკითხად არის გადაქცეული. მსჯელობენ იმის შესახებ, აღმოუჩენს თუ არა დიდი ანტანტა დახმარებას მცირე ანტანტის რომელშიც შევლენ რუმინეთი, უნგრეთი, სერბეთი და ჩეხო-სლოვაკია. თუ ამ ანტანტამ ვრანგელთან და აჯანყებულ უკრაინელ გლეხებთან, ერთად იმოქმედა, მაშინ იგი ბოლშევიკებზე უეჭველად გაიმარჯვებს.

## სტამბოლის ცნობები.

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა.**

სტამბოლი 23 მარიამობისთვე „ბოსფორი" ბათომსა და საქართველოსთან არსებულ სავაჭრო დამოკიდებულებას საგანგებო წერილს უძღვნის. გაზეთი აღნიშნავს, რომ სავაჭრო გზა საქართველოსა და ევროპის შორის მიდის სტამბოლზე რომელმაც საქართველოსთან სავაჭრო დამოკიდებულების მოწესრიგებაში ევროპას ხელი უნდა შეუწყოსო. საქართველოს ბაზარს შეუძლიან ძვირფას საქონლის მოწოდება. ამასთანავე მას შეუძლიან მრავალ საქონლის გასაღება გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა ნებას რთავს თავისუფალ ვაჭრობას და უცხო ვაჭრებს საქართველოს ქალაქებში საქონლის მიტანის შეძლებას აძლევს. დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ოსმალეთმა ამიერ კავკასიის რესპუბლიკებთან მტკიცე სავაჭრო დამოკიდებულება დაიკავოსო.

**სტავროპოლი. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტების კონფერენცია.**

2 აგვისტო გაზეთი „ვლასტ სოვეტა" ფაბრიკა ქარხნების კომიტეტთა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციას აქვეყნებს. კონფერენციაზე პოპულიარულმა ბოლშევიკმა იკანმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც იგი აღნიშნავდა: „6 წლის შეუწყვეტელმა ომმა ქვეყანა სულ განადგურებამდე და ეკონომიურ სილატაკემდე მიიყვანა. ჩრდილოეთისა და ცენტრის მუშებს არა აქვთ პური, ხორცი და სხვა სურსათ სანოვაგე. სამხრეთის მუშებს და გლეხებს არა აქვთ მანუფაქტურა და საწარმოვო იარაღები. „კონფერენციამ მრეწველობის განსამტკიცებლად სათანადო რეზოლიუცია გამოიტანა. სხვათა შორის გადასწყდა: „დაუყონებლივ შემოიღონ შრომის დაჯილდოება და წაქეზებითი სისტემა. გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა შრომის დეზერტირებს და შემოიღონ საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოები".

**ქემალმა ქალ. ადაბაზირი დასტოვა.**

სტამბოლი მარიამობისთვის 21 „იერგირი" იუწყება: მუსტაფა-ქემალმა გასცა ბრძანება აზერბეიჯანში მყოფ ყველა ოფიცრისადმი, რომ დაბრუნდენ ანატოლიაში, ქალ. ადაბაზირი და მისი მიდამოები ქემალისტებმა დასტოვეს. შესდგა გაერთიანებული კომიტეტი თურქთაგან, თათრებისაგან და ბოსნელებისაგან, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სახელწოდებით.

**მოკავშირეთა სარდლობა სტამბოლში.**

სტამბოლი მარიამობის. 23. სტამბოლში მყოფ მოკავშირეთა ჯარების სარდალმა ვილსონმა გამოსცა შემდეგი ბრძანება: სიკვდილით დაისჯება ყველა ის პირი, ვისაც უნახავენ იარაღს, სამხედრო მასალას, ყუმბარებს და სხვა ამაფეთქებელ ნივთიერებას. 2. ვინც ესვრის მოკავშირეთა ჯარებს და იმ სახლის მეპატრონეთ საიდანაც ესვრიან მოკავშირეთა ჯარებს.

# ახალი ამბავი

## მთავრობაში.

— **მადლობა.** ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობას მადლობა გადაუხადა მახლობელ აღმოსავლეთში სურსათის გადაგზავნის ხელის შეწყობისათვის.

— **სააპელაციო საჩივრები.** იუსტიციის მინისტრმა მთავრობაში შეიტანა წინადადება, რომ ბათომში მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მოწყობამდი მომრიგებელ მოსამართლის განაჩენზე სააპელაციო საჩივრები განსახილველად ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას გადაეცეს.

## სამინისტროებში.

— **მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.** იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას, რომ გაგზავნოს ერთი თავისი წევრი ბათომს მომრიგებელ მოსამართლის მოვალეობის ასასრულებლად.

— **დეკრეტი მადანის შესახებ.** ენკენისთვის ორს ფინანსთა სამინისტროში ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორის აღშიბაიას თავმჯდომარეობით მოხდება საუწყებათაშორისო თათბირი მადანზე, დეკრეტის ინსტრუქციის გამოსამუშავებლად. ამ ინსტრუქციის გამომუშავებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, ვინაიდან გაძლიერებულ ზომებისმიღებას ცდილობენ მადნეულობის საექსპლოატაციოდ.

— **მიწადმოქმედების სამინისტროში. ტყეების დაცვა.** მიწათ მოქმედების სატყეო განყოფილება ტყიბულის ტყის ეგამგეს ერობის წარმომადგენლებთან ერთად ტყეების დათვალიერება მიანდო. წაბლის ტყე, რომელიც ტყიბულთან ნაქერალასკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, ხელშეუხლებლად ცხადდება. ტყის

გამგეს გეგმისა და აღწერის შედგენა მიენდო. სატყეო განყოფილება ერობათა წარმომადგენლების თათბირს იწვევს. თათბირის მიზანია ზომების შემუშავება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც სახაზინო ტყეს სძარცვავენ.

— **წიგნაკები.** შრომის სამინისტრო შეუდგა დახმარების მისაცემად წიგნების შედგენას. ეს წიგნები შემდეგ დაეგზავნება ერობებსა და ქალაქებს, საიდანაც მიიღებენ პენსიონერები დახმარებას.

— **დახმარების ნორმა.** ენკენისთვის პირველიდან შრომის სამინისტრო აიღებს დახმარების ნორმას. თვიური დახმარება არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფოდ-წესებულებების უნცროს მოსამსახურის ნახევარ ჯამაგირს. ქვრივები ღებულობენ იმის ნახევარს რაც ერგებოდათ ქმრებს, უწლოვანი ბავშვები კი მეთოხედს.

— **ყაჩაღები ტყეებიდან გამოდიან** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას დეპეშით ატყობინებს ზუგდიდის მაზრის კომისარი, რომ ტყიდან გამოვიდნენ და გამოცხადდნენ ცნობილი ყაჩაღები: მაქაცარია, ფიფია, ქარდავა. ჩანგელია და აფსავა: უკანასკნელს აქვს მისჯილი ექვსი წლის კატორღა. მაზრაში დეზერტირობას ბოლო ელება.

— **სპარსეთის საელჩოს შუამდგომლობა.** სპარსეთის საელჩო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათ „კავკასია—სპარსულ" ამხანაგობას ნება დართონ ბათომსა და ფოთში სატრანზიტო საწყობები მოეწყოს მათ მიერ.

## ქალაქის თვითმართველობაში.

— **აბანოების გადაცემა.** მიწათ-მოქმედების სამინისტრო უკვე შეუთანხმდა ქალაქის გამგეობას, რომელსაც იჯარით გადაეცემა ის აბანოები, რომლებიც მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში იმყოფება. ხელშეკრულობის პროექტი უკვე განმზადებულია. ქალაქის გამგეობა ამ დღეებში შეუდგება აბანოების მიღებას.

— **„ფუნიკულიორი"-ს შეკეთება.** ქალაქის გამგეობის მიერ „ფუნიკულიორი"-ს შეკეთება, უკვე დამთავრებულია მის ექსპლოატაციას ქალაქის გამგეობა ამ დღეებში შეუდგება ქალაქის საბჭოს დასტურით, ბილეთების ფასებია ასეთი: ასვლა — 30 მან. ჩამოსვლა — 20 მან. შუა ბაქანამდე 15 მან.

— **ახალი ზომები სპეკულიაციის წინააღმდეგ.** თბილისის ქალაქის გამგეობა იმუშავებს ახალ ზომებს ყველა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ხელოვნურად ხელს უწყობენ სურსათ-სანოვაგის გაძვირებას.

— **ქუთაისის ქალაქის მოურავის დეპეშა.** ქუთაისის ქალაქის მოურავი დეპეშით ატყობინებს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს, თუ დაუყონებლივ არ იქნება გაგზავნილი დენატურატი ქალაქისათვის, შეჩერებული იქნება მუშაობა ელექტრონის სადგურისა, წისქვილებისა და ფურნეებისა, რაც დიდს უბედურებაში ჩააგდებს ქალაქსო. მოურავი შუამდგომლობს მინისტრის წინაშე ზომები სასწრაფოდ იქნეს მიღებული.

## ერობა.

— **ყალბი ცნობა** თბილისის სამაზრო ერობის გამგეობა იუწყება; ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა ხართიჟალაში საქონლის ჭირის გაჩენის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. სართიჭალაში და მის მიდამოებში გაჩნდა საქონლის ჭირი რომელსაც პიროპლასტას (მალარიას) ეძახიან. თავის დროზე მიღებულ ზომების გამო ავადმყოფობა არ გავრცელებულა.

## ქალაქთა კავშირი.

— **ქალაქების გამშვენიერება.** ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი ქალაქების გასამშვენიერებლად მთელ რიგს პროექტებს ადგენს, უმთავრესად იმ ქალაქების გასამშვენიერებლად რომელნიც ძველი გეგმის მიხედვით გაშენებიათ. ერობათა მთავარი კომიტეტი მუშაობს ლანჩხუთის, ოზურგეთის, გორის, თელავის, ხაშურისა და სხვა ქალაქების გეგმის შესადგენად. გეგმის შედგენის შემდეგ ახალ ქუჩებს გაიყვანენ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოედნების, პარკებისა და საბაზრო ადგილების მოწყობას. ამასთანავე ქალაქთა კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ქალაქების სანიტარულ მდგომარეობას წყალსადენების გაყვანას, დახურული ბაზრების მოწყობას და სხვა: მთელ რიგ ქალაქებში ამ მხრივ ღებულობენ კიდეც სათანადო ღონისძიებებს, ქალაქმა სურამმა საფუძველი ჩაუყარა გამშვენიერების საქმეს და ააგო მშვენიერი თეატრი. დიდ ყურადღებას აქცევენ ქალაქ ბათომის მოწყობას.

— **ელექტრონის გზა თბილისა და კოჯორს შუა.** აგვისტოს 31 საღამოს 8 საათზე ქალაქთა კავშირის ბინაზე თბილისის და კოჯორის თვითმართველობათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა შესდგება. სხდომაზე განიხილავენ საკითხს თბილისსა და კოჯორ შუა ელექტრონის გზის გაყვანის შესახებ.

## სასოფლო მეურნეობა.

— **გადასახადი სასოფლო სამეურნეო შემოსავალზე.** საგანგებო თათბირმა რომელიც ფინანსთა მინისტრმა მოიწვია სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე გადასახადის გადიდების საკითხის განსახილველად, დაადგინა გადიდდეს გადასახადი 600 პრ.—ით მომავალში სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე გადასახადს სამაზრო ერობა დააწესებს.

## თეატრი და ხელოვნება.

— **ახალი ოპერა.** სახელმწიფო თეატრის გამგეობამ მოიწონა დასადგმელად კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი". ოპერა მიმდინარე სეზონში დაიდგმება.

— **იტალიელი მომღერლები.** სახელმწიფო თეატრის გამგეობა იუწყება, რომ იტალიელი ბალაცი, რომელიც საქართველოსთან ფართო ხასიათის ვაჭრობას აწარმოებს, ჰპირდება იტალიიდან საქართველოში მომღერლების უფასოდ ჩამოყვანას, ამ გვარად შესაძლებელია, რომ მიმდინარე სეზონში იტალიელი მომღერლები საქართველოს სახელმწიფო სცენაზე გამოვიდნენ.

## სხვა და სხვა ამბები.

— **საფრანგეთის მისიაში.** ერევნიდან თბილისს დაბრუნდა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი პოლკ. კორბეილი.

## ბათომი.

— **ტელეგრაფის აღდგენა მოსკოვ-ბერლინ შუა:** აქ მიღებული ცნობით, მოსკოვსა და ბერლინს შუა სატელეგრაფო დამოკიდებულება აღდგენილია „ეხო როსი" იუწყება მოსკოვის ხაზეთა პოლკის აჯანყების შესახებ ალექსანდროვსკთან. წამოუყენებიათ სამოქალაქო ომის შეწყვეტის მოთხოვნილება. პოლკი ტყვიის მფრქვევლებითა და ზარბაზნებით დაიმორჩილეს.

## სოხუმი.

### მიწების დანაწილება

საქ. კომ. აფხაზეთის კომისარიატმა მიიღო ზომები უმამულოთა და წვრილ მესაკუთრეთა შორის მიწების განაწილებისათვის. სახელმწიფო ფონდიდან გლეხებისათვის გასანაწილებლად გამოყოფილი 483 დეს. და 1505 კვალ. საჟენი მიწა სამურზაყანოს 12-თემის გლეხობას გადაეცა. აფხაზეთის კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს ვაჭრობა-მრეწველობის საბჭო. საბჭოში შედის კომისარიატის წარმომადგენელი, ორი პასუხის მგებელი მოსამსახურე და კომერციული აგენტი. საზოგადოებრივ წრეებში აღიძრა საკითხი ერობის ქალაქების, კოოპერაციის და ვაჭარ მრეწველთა წარმომადგენლების საბჭოში მონაწილეობის მიღების შესახებ.

## ზოგიერთ სტუდენტ ჯარისკაცის ბედი.

ამასწინედ „სახალხოში" ვინმე „ძველი სტუდენტი" თავის სამართლიან წერილში სხვადასხვა წლიან მობილიზაციით გაწვეულ ჯარისკაც სტუდენტების შესახებ შეღავათებისკენ მოუწოდებდა „კომპეტენტურ წრეებს და პირებს", მაგრამ არიან ისეთი ჯარის კაცი სტუდენტები, რომელთა შესახებ ჯერ არავის არაფერი გაჰკვნებია, თუმცა მათი სიკეთე და ამაგი აუწერელ-დაუფასებელია სამშობლოსა და თავისუფლების წინაშე. თუმცა ეს სტუდენტები ზემო მოხსენებულ წერილში ნაჩვენებ საშეღავათო წლებზე პატარები არიან და ირიცხებიან რეგულიარ ჯარში, მაგრამ ამ პატარა, მცირე წლოვან სტუდენტ ჯარის კაცთა ამაგი დიდი და განუზომელია.

მამულიშვილურმა თავდადებამ და თავგანწირულებამ მისცა საუკეთესო მაგალითი მამულის და თავისუფლების დაცვისა იმ გაქსუებულსა და გახრწნილ გადეზერტირებულ ჩვენი მაშინდელი ჯარის ნაწილს მაინც „დემოკრატიისას" რომელთაც ათეულ წლების განმავლობაში ურცხვად ჩასჩიჩინებდნენ ამ დამამცირებელ და ადამიანს ღირსების ამხდელ სიტყვებს „დემოკრატს და მუშას სამშობლო არა აქვს". ეს დღევანდელი ჯარის კაცი სტუდენტები სახელმწიფო გადატრიალების დღიდან ჯერედ 17, 18 წლისა ჩაეწერნენ თავისუფალ ჯარის კაცად. შემდეგ უსწრო სამხედრო შეგარამ და აი 1917 წლიდამ დღევანდლამდე ეს მეოთხე წელიწადია ათენ-ღამებს მრავალ ბრძოლის ველზე თუ ყაზარმაში. ამ დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა რომ ისინი მორიდებოდნენ რომელიც გნებავთ ჩვენს სამშობლოს თავზე გადახდილს ომსა; ბევრი მათგანი დაჯილდოვებულ იქნა მჭირსა და სუსხიანს ადგილებში მალარიით, ფილტვების ავადმყოფობით, რევმატიზმებით და სხვა ამ გვარ განუკურნავ განუშორებელ ავადმყოფობით, მაგრამ ჯერ მათზე სიტყვა არ თქმულა, რომ იმათი რვა წლის ბავშობიდან მოკიდებული ნაწვავ-ნადაგი მწარე შრომით შეძენილი სწავლა ჰ ომის ცეცხლს წყალივით ხელიდან გაეპაროთ და შერჩევა მხოლოდ დაავადებული სხეული.

და აი ამ თავდადებულ მამულიშვილებმა დღესაც არ იციან მისცემენ მათ ამ წლის სემესტრში მაინც მცირე საშუალებას რომ არ დაჰკარგონ მეოთხე წელი და ტყუილ უბრალოდ არ იყვნენ გამომწყვდეულნი ყაზარმებში.

ჩვენი მოვალეობაა გავახსენოთ ყველას ვიშვამდკომლოთ სადაც ჯერ არს, რომ წელს მაინც აღარ დაეკარგოთ ეს სამოსწავლო წელი და რაიმე შეღავათი იქნას გამოძებნილი, თორემ მართო „რჩეულთა" შვილები და ბიძაშვილები არც ეყოფიან და არც აცხონებენ საქართველოს.

სტუდენტი ჯარის კაცი.

## ეკონომიური ცხოვრება.

### პურის მოსავლის მოლოდინი მთელ ქვეყანაზე.

(უცხოეთის გაზეთებიდან).

**ინგლისში.** ინგლისი პურის მოსავლის მხრით ფრიად მძიმე გარემოებაში იმყოფება. მისი წლევანდელი მოსავალი შარშანდელზე გაცილებით ნაკლებია. მიწათმოქმედების მინისტრ ლორდ ლეს გამოანგარიშებით მოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 60 მილიონ კვინტალს (კვინტალი უდრის ას გირვანქას).

**ამერიკაში.** არც ამერიკაა კარგს ყოფაში. მისი მოსავალიც შარშანდელზე გაცილებით მდარეა. მთელს შტატებში იმედი აქვთ, რომ 80 მილიონ კვინტალს მოჰკრებენ, მაშინ როდესაც გასულ წელს მოსავალი 127 მილიონ კვინტალს აღემატებოდა.

**კანადაში.** შარშანდელზე უხვ მოსავალს იუწყებიან.

**არგენტინაში** უხვი მოსავალია, მაგრამ გარდაწყვეტილი აქვთ არსად გაიტანონ პური.

**ინდოეთში.** ინდოეთში ას მილიონ კვინტალის იმედი აქვთ. მაგრამ ინდოეთიდან გატანის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ბოლშევიკების შიშით პურს ისევ ახალშენში დაატრიალებენ. ინგლისიც კი თავისთვის მცირეოდენ ნაწილს თუ გაიტანს, ისიც კარგია.

**ავსტრიაში.** მოსავალი დეფიციტით დამთავრდა.

**რუსეთში.** იმ მოსავლის მესამედიც არ მოვიდა, რაც ომამდე იყო, რაც რუსეთისავე მოთხოვნილებას ოდნავ დააკმაყოფილებს.

**ბულგარეთში.** პურის მოსავალი უკეთესია და იმედიცა აქვთ ევროპიელ სახელმწიფოებს მან გაუნაწილოს.

**რუმინეთში.** რუმინეთს გადაწყვეტილა აქვს გარედ მხოლოდ სიმინდი გაიტანოს. პურის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს, მაგრამ გაზაფხულამდე მას ხელს ვერ ახლებენ, ვიდრე მომავალ სეზონისათვის პურის კარგს მოსავალში არ დარწმუნდებიან.

**საფრანგეთში.** საფრანგეთში პურის მოსავალი საშუალოა, ასე რომ საფრანგეთის ხალხს დააკმაყოფილებს. ფრანგულ ჟურნალ-გაზეთების გამოანგარიშებით იმედი აქვთ, რომ გირვანქა გამომცხვარი ეღირება ნახევარი ფრანკიდან 1 ფრანკამდე, ხოლო ფქვილი 1 კვინტალი 90—100 ფრანკამდე.

სხვა სახელმწიფოებიდან იტალიაში, ჰოლანდიაში, ესპანიაში, შვეიცარიაში, ავსტრო ჰუნგრეთში და ჩრდილო აფრიკაში სიცხეებისაგან პური მოითუთქა და მოსავალმა ის ნაყოფი არ გამოიღო, რის მოლოდინიცა ჰქონდათ.

## თბილისიდან ბათომში.

### კახელ მევენახე-მეღვინეთა „კახეთის" ექსკურსია.

კახელ მევენახე-მეღვინეთა კოოპერატიულმა საზოგადოებამ „კახეთი"-მ წელს გადასდგა ძლიერ ღირს შესანიშნავი ნაბიჯი თავის ცხოვრებაში. უკვე ოცი-ოცდა ხუთი წელიწადია, რაც არსებობს ეს საზოგადოება და ჯერაც სათანადო ყურადღება ვერ იყო მიქცეული მის წევრთა განვითარება-გათვითცნობიერების დარგში. კვირას, 22 მარიამობისთვეს, საზოგადო კრებაზე გამგეობის ინიციატივით გამოითქვა აზრი წევრების ექსკურსიის შესახებ თბილისიდან ბათომში. საზოგადოების წევრებმა ეს აზრი ძლიერ მოიწონეს და გადასწყვიტეს ენახათ ცხრა კლიტულში მჯდომარე და ეხლა კი ბოლოს აყვავებული სანატრელი ბათომი—ჩვენი ღვინო თითქმის მთელს საქართველოში გადის, ყველა ჩვენს ღვინოს სვამს და სირცხვილი არ იქნება ჩვენთვის, რომ არ ვნახოთ ბათომიო,—წამოიძახა ერთმა საზოგადოების წევრთაგანმა.

ერთხმად გადაწყვიტეთ წასვლა, საღამო მატარებლით, საათის 8, ცალკე ვაგონით გავემგზავრეთ ბათომისკენ.

### თბილისიდან ბათომში.

მგზავრობა ღამით მოგვიხდა. გათენებისას უკვე ქობულეთს მივუახლოვდით. ყველა ველოდით თუ როდის გამოჩნდება ზღვა. ზღვაც ვიხილეთ და ეხლა ჩვენი წადილი ბათომი-ღა იყო. დილით 11 საათზე ჩავედით ბათომში. გამგეობის თავმჯდომარე ი. ფორაქაშვილმა ინახულა გენერალი მდივანი და აცნო ექსკურსიის მიზანი. მის განკარგულებით პაწია გემი „ბათომი" მოგვცეს, დავათვალიერეთ მიდამოები ჩვენი ზღვის პირისა და შემდეგ გადმოვედით ნაპირზე. იქვე ახლოს იდგა იტალიის გემი „პალასკი" დიდი მადლობის ღირსია ამ გემის კაპიტანი, რომელმაც თავის ხელმძღვანელობით დაგვათვალიერებინა გემი და სათანადო განმარტებებს გვაძლევდა. აქედან წავედით ჩვენი ფორტების დასათვალიერებლად, საიდანაც საათის 2 გამოვემგზავრეთ ჩაქვისაკენ.

### ჩაქვში.

და ხლოებით 4 ნახევარ საათზე ჩავედით ჩაქვში. სადგურიდგან გავემგზავრეთ სახელმწიფო მამულში ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად.

გზაშივე დაგვხვდა მამულის გამგე გიორგი გამხარაშვილი, რომელიც გაგვიძღვა წინ. გრძნეულ ნაძვების და ლეღწმების ხეივნებით მივედით პლანტაციებში. ბ-ნმა გამხარაშვილმა წაგვიკითხა ლექცია ჩაის დაყენების შესახებ. ადგილობრივ გვაჩვენა პლანტაციებიდა გზა და გზა ქარხნებში საჭირო განმარტებებს იძლეოდა. აქედან მისივე ხელმძღვანელობით წავედით ლეღწმის ავეჯის ქარხანაში და იქ ბევრმა წევრთაგანმა შეიძინა თავისათვის საჭირო ავეჯი. დიდი მადლობა უძღვენით გამგეს და იქიდგან მისივე დასწრებით წამოვედით სადგურისაკენ და ჩამოვსხედით ზღვის პირას. თვალ წარმტაც სილამაზეს წარმოადგენს ღამით ბათომი ჩაქვიდან. ზღვის კენ დაკლაკნილი ბათომი თითქმის აცნობებს ყველას „მე ვარ ერთგული კუშაგი საქართველოსი" ჩაქვიდან ღამის 12 საათზე გამოვემგზავრეთ პირდაპირ ზესტაფონისაკენ.

### ზესტაფონში.

საშაბათს დილით 3 საათზე ჩავედით ზესტაფონში. მოსვლისთანავე გავემგზავრეთ სანერგე მამულების დასათვალიერებლად. იქ დაგვხვდა მამულის გამგე კ. მოდებაძე. მან დაგვათვალიერებინა ნამყენი ვაზები და მათ შორის კახურ ჯიშის ვაზები „რქაწითელა", შემდეგ ამისა ვინახულეთ სარდაფები. იქ ბ-ნ მოდებაძემ გაგვასინჯა კ ხური ღვინოები და იმერული, სახელდობრ „ციცქა" და „ცოლიკოური".

აქედან წავედით იმავე კაკლების სასადილოდ. გულითად მადლობას ღვნით ბ-ნ [illegible] პინძლობის [illegible] წაგვიკითხა ფილოქსერის შესახებ. ლიდან სიქლერა და გზა და გზა შით მივედით სადგურზე. ჩვენ სი გამოეხმაურნენ იმერლებიც და იმ ხური სიმღერები ატკბობდა მთელ დამოს აქედან სახალხო უნივერსი ლექტორის სოსო ირემაშვილის დებით წავიდით ადგილობრივ სადაც მან წაგვიკითხა ლექცია რაციის შესახებ და შემდეგ გვიჩვენ ნდოვანი სურათები. კლუბიდან ჩვენ ვედით კვლავ სადგურზე და იქიდან ლერა „ზესტაფონო მშვიდობით"-ით მის 1 საათზე გამოვეშურეთ თბილ კენ. ოთხშაბათს დილის 10 საათზე ვით თბილისში.

დიდათ ნასიამოვნები დავრჩით წევრები და ვიმედოვნებთ კიდევაც, შემდეგშიაც მოგვეცემა საშუალება და სხვა კუთხეების დათვალიერებით ვიცნოთ და შევისწავლოთ ჩვენი სამ ბლო...

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ უარი არ მითხრათ და გი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ თში ქვემორე განცხადებას: შალვა ლაკელიძეს და სხვების საქმეზე, სა რთლოს გამოძიების, ახალციხელი წმე ლაზრიევმა აჩვენა, რომ პორუჩი ჩიბაიას, ახალციხის გარნიზონის ტანდათ მყოფს, გამოქონდა თოფ ახალციხის ეტაპის სამმართველ და ჰყიდდათ. მე, როგორც ახალ ეტაპის საკომენდანტოს ნამყოფი უფ ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობათ ვა განვაცხადო, რომ ჩვენება მოწმე ლ ვისა არ არის სარწმუნო: ახალ ეტაპის პუნქტში არ ინახებოდა ერთი თოფი და ვაზნა (патронъ) სადმე, ჩიჩიბაიას არ შეეძლო თოფ გამოტანა და მათი გაყიდვა ახალ ეტაპის უფროსობის თანამდებობის სრულებასთან მე ერთს და იმავე ვასრულებდი ახალციხის გარნიზ უფროსის თანამდებობას და გარნიზ უფროსის განკარგულებაში არ იყო ერთი საწყობი რომელიმე სამხ მასალისა, სასროლეს ანუ სხვა მასა მაშ საიდან შეიძლებოდა თოფების ზიდვა.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭ ეს განცხადება

ახალციხის ეტაპის ყოფილი უფროს

**ილარიონ ხხოსიტაშვ**


საჭიროა

მოსამსახურე ქალი.

მოიკითხეთ „საქართველოს" კანტორაში. 4—

იყიდება სამოსახლო

მიწები

ქუთაისში საუკეთესო მიწა, ზომით 3 დესეტინა. გეგუთის ქუჩაზე, ქალაქის გარე ხაზთან. ხეხი

ფოთში სამი ნაჭერი საუკეთესო ქუჩებზე 2000 კვ. სა

იკითხეთ „საქართველოს" კონტორაში.

1—84—0

საქართველოს

სავაჭრო სამრეწველო ცენტრალურმა ბანკმა

გაიხსნა განყოფილება

ბათომში

აწარმოებს ყოველივე საბანკო ოპერაციას. მოახვარაკეთა ოჯახებს შეუძლიათ თბილისიდგან მთავარ გამგეობაში გახსნილ მიმდინარე ანგარიშიდგან ბათუმში მიიღონ ნაწილ-ნაწილად სახარჯო ფული. გადაგზავნა-გადმოგზავნა თანხის გადვილებულ წესით ხდება.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან